საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ

14/05/2018 **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №102/17

-- -- 2017 წლის 15 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა განმარტება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის მითითებით მოსამართლის მხრიდან ადგილი ქონდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ (სამოსამართლოს ეთიკის ნორმების დარღვევა) ქვეპუნქტით განსაზღვრულ გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სხდომის დარბაზიდან ორივე მხარე გამოვიდა შეურაცხყოფილი, რადგან მოსამართლე მათ მიმართავდა აგრესიული და ხმამაღალი ტონით, ყოველგვარი ეთიკის ნორმების დაცვის გარეშე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 5 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ. მოსარჩელემ -- -- და სს „--“ გაკოტრების მმართველს -- -- შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა და ქ. --, -- ქ. 21-ში მდებარე 4 სართულიანი შენობის (საინჟინრო კორპუსი) მე-3 სართულზე - -- -- საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა.

-- -- სარჩელი -- საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განსახილველად და მოსარჩელეს ეცნობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების და ჩაბარების დასტურის არაუმეტეს 2 თვის ვადაში სასამართლოში წარდგენის ვალდებულების შესახებ (2016 წლის 7 დეკემბრის აქტი).

2017 წლის 14 დეკემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა -- საქალაქო სასამართლოში წარმოადგინა მტკიცებულება 2017 წლის 11 დეკემბერს მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების შესახებ. მოპასუხეს შესაგებელი კანონით დადგენილ ვადაში არ წარუდგენია.

2017 წლის 28 თებერვალს მოსამართლემ მიიღო განჩინება მოცემულ საქმეზე 2017 წლის 27 მარტს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ. 2017 წლის 27 მარტის მოსამზადებელი სასამართლო სხდომა ჩატარდა და გადაიდო 2017 წლის 3 მაისს.

2017 წლის 4 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და სს „--“ გაკოტრების საქმის გამოთხოვა და სს „--“ ყოფილი გაკოტრების მმართველის -- -- მოწმის საკითხს დაკითხვა მოითხოვა.

2017 წლის 3 მაისის სხდომა დაიწყო 12:08 საათზე. -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის შუამდგომლობა სს „--“ საქმის მასალების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო მოწმის სახით სს „--“ ყოფილი გაკოტრების მმართველის დაკითხვის შესახებ არ დაკმაყოფილდა. 2017 წლის 10 მაისს -- საქალაქო სასამართლომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან გამოითხოვა სს „--“ გაკოტრების საქმე №2/-- (ან საქმე №2ა- -- -04).

2017 წლის 1 ივნისს -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - სსიპ საჯარო ეროვნული სააგენტოს, მესამე პირების - -- --, -- -- და -- -- სააღსრულებო ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ სს „--“ გაკოტრების საქმის მმართველის -- -- მიერ 2008 წლის 12 ივნისის გაცემული აუქციონის მსვლელობისა და შედეგების შესახებ ოქმის საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტად აღიარება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. --, -- ქ. 21-ში -- -- მესაკუთრედ რეგისტრაცია მოითხოვა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 ივნისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა დაზუსტებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, 2017 წლის 13 ივნისს -- -- წარმომადგენელს ეცნობა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2016 წლის 16 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა -- საქალაქო

სასამართლოს და სარჩელის გამოხმობა მოითხოვა. განცხადებაში მითითებული იყო, რომ სასამართლოს არ სურდა მისი სარჩელის განხილვა, ცდილობდა არ განეხილა სარჩელი და იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი განიხილავდა ამ სარჩელს წინასწარ იცოდა, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა.

მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადების განხილვის მიზნით 2017 წლის 4 ივლისს დაინიშნა სასამართლო სხდომა. 2017 წლის 4 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე დეტალურად კითხულობდა მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადებას და სთხოვდა მას განმარტებას, თუ რატომ მიუთითა მან განცხადებაში ესა თუ ის მოსაზრება.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 ივლისის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და -- -- სარჩელი დარჩა განუხილველი. მხარეებმა უარი განაცხადეს განჩინების გასაჩივრებაზე.

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

2018 წლის 2 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მოსამართლე -- -- მიერ წარდგენილი იქნა ახსნა-განმარტება, ასევე მოსამართლე გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისს გამართულ სადისციპლინო სხდომაზე და დააფიქსირა თავისი მოსაზრება.

მოსამართლე ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ სხდომის ჩანიშვნის მიზანი იყო განცხადება განეხილა ზეპირი მოსმენით, ვინაიდან განმცხადებელი უთითებდა სასამართლოს მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე. განცხადების ზეპირი ფორმით განხილვა მიზნად ისახავდა მხარეს დაეზუსტებინა ფაქტები, თუ რაში გამოიხატა განმცხადებელზე ზეწოლა ან ზეგავლენის მოხდენა, ან რა ფაქტებზე დაყრდნობით აცხადებდა განმცხადებელი რომ მოსამართლეს არ სურდა მისი საქმის განხილვა და გადაწყვეტა.

მოსამართლის განმარტებით, განმცხადებელი უთითებდა, რომ იგი იძულებული იყო სარჩელი გაეხმო, შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო გაერკვია თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით აკეთებდა ასეთ დასკვნას განმცხადებელი, რადგან ფაქტობრივად იგი ადანაშაულებდა მოსამართლეს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმაში.

მოსამართლე მიუთითებს საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-2 და მე-3 მუხლებზე, რომლის შესაბამისადაც მოსამართლე უნდა იყოს კანონის და მოსამართლის ფიცის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტი. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით.

ამავე წესების მე-5 მუხლის შესაბამისად, სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად.

აღნიშნული დებულების შესაბამისად, მოსამართლემ განმარტა, რომ ვალდებული იყო გაერკვია თუ რის საფუძველზე შეექმნა მხარეს აზრი, რომ არ სურდა მისი სარჩელის განხილვა მოსამართლეს, რა გარემოება აძლევდა მას აღნიშნული განცხადების გაკეთების საფუძველს.

შესაბამისად, მოსამართლე მიიჩნევს, რომ არ დაურღვევია სამოსამართლო ეთიკის წესები, რის გამოც მის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური დევნა სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით.

4. დისციპლინური დევნის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიერ ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა.

დადგენილია, რომ -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 ივლისის სასამართლო სხდომა ჩატარდა სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელის წარმომადგენლის 2017 წლის 16 ივნისის განცხადების განხილვის მიზნით. ამასთან, ამავე სხდომაზე მოსამართლემ მიიჩნია, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებები და მოსარჩელის წარმომადგენლის დამოკიდებულება უპატივცემულობას გამოხატავდა სასამართლოს მიმართ და მოსარჩელის წარმომადგენელს გამოუცხადა გაფრთხილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

ამასთან, ამავე კოდექსის 212-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის უფლებამოსილებებს

მხარეთა მიერ სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ასევე, საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის ახსნა-განმარტების და სასამართლო სხდომის აუდიო ოქმის მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ მოსამართლის მხრიდან სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, იგი არ გასცდენია მხარისათვის ღირსებითა და თავაზიანად მიმართვის ფორმას. სხდომის ჩანიშვნის და განცხადების ზეპირი მოსმენით განხილვის მიზანი იყო მხარისათვის განემარტა რომ სასამართლო მოტივირებული იყო მხარისთვის მოეხდინა უფლების რეალიზაცია და არ შელახულიყო მისი უფლებები, განემტკიცებინა სასამართლოსადმი სამართლიანობის რწმენა და განეხორციელებინა მართლმსაჯულება.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართლაწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა. ამავე კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების

შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმებისას ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის და ამავე კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ, საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტი (2017 წლის 4 ივლისის სხდომის ეპიზოდი) არ დადასტურდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური დევნა საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი